

საქართველოს ხელი



საბჭ. ჩესკობლივის

მუხარი და გლავითა მთავრობის

პანონია და განცარგულებათა პრეზენტი

სახალხო კომისართა საგაონოს და მეორეობის საგაონოს
საქმეთა მინისტრობის გამოცემა

1934 წ. ღერებრი 10.

№ 32

შ ფ ი რ ი ს

შ ი ნ ა ტ ა რ ს ი

სახელმწიფო წყობილება

239. საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.
ინსტრუქცია საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების შესახებ.

სახელმწიფო წყობილება

239. დადგენილება მ.ა.კ.

საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების ინსტრუქციის
დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ კომიტეტურის 95 მუხლის საფუძველზე დასაქმირის ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული საბჭოების არჩევნების ინსტრუქციის შესაბამისად და განსავითარებლად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-50 №-ი, მუხ. 524; „იზევსტია“ 1934 წ. სექტემბრის 30-ისა № 230), სრულიად საქართველოს ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტი აღეცნ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს სრულიად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე⁹ ინსტრუქცია საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1930 წ. ნოემბრის 9-ს დამტკიცებული ინსტრუქცია მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნებისა და

საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-21 №-ი, მუხ. 317; 1933 წ. მე-16 №-ი, მუხ. 207).

3. გაუქმდებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებაზი:

1) 1927 წ. იანვრის 11-ის თარიღისა ქ. ტფილისისათვის საბჭოთა არჩევნების არსებული წესის ზოგიერთი გამონაკლისის შემოღების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 1);

2) 1927 წ. იანვრის 25-ის თარიღისა ქალ. ტფილისისათვის საარჩევნო ნორმების დაწესების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 8);

3) 1930 წ. ნოემბრის 24-ის თარიღისა საარჩევნო ნორმების დაწესების შესახებ სოფლად მდებარე საწარმოებისათვის, ქალაქებთან შეერთებული სოფლებისათვის და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სოფლებისათვის (საქ. სსრ. კან. კრ. 1930 წ. მე-24 №-ი, მუხ. 349) და

4) 1931 წ. იანვრის 7-ის თარიღისა წარმომადგენლობის ნორმების შესახებ სამტკიცილის ქალაქის საბჭოს არჩევნებისათვის (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 25).

სრ. საქ. კ.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. კ.ა.კ.-ის მდივანი თ. ულენტი.

1934 წ. ოქტომბრის 5.

ტფილისი.

ინსტრუქცია

საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების შესახებ

თ ა ვ ი I.

საარჩევნო კომისიები.

1. საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების ჩასატარებლად და სათანადო ტერიტორიაზე საარჩევნო კამპანიის სახელმძღვანელოდ არსდება შემდეგი საარჩევნო კომისიები:

ა) ცენტრალური საარჩევნო კომისია;

ბ) აფხაზეთის ავტ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის, აჭარისტანის ავტ. სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის საარჩევნო კომისიები;

გ) სარაიონი საარჩევნო კომისიები;

დ) საქალაქო საარჩევნო კომისიები;

ე) სასოფლო საარჩევნო კომისიები.

გარდა ამისა, ქალ. ტფილისში არსდება ქალაქის სარაიონო საარჩევნო კომისიები.

2. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ადგენს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი 23 წევრისაგან, საარჩევნო

კამპანიის მომზადებისა და გატარების ხელმძღვანელობისათვის მთელ ცეკვულ ლიკაში.

3. აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის აეტ-ოლქის საარჩევნო კომისიებს ადგენერ აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები. მმ კომისიებში შედიან: თავმჯდო-მარე, ორი წარმომადგენელი სათანადო რესპუბლიკისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და თითო წარმომადგენელი პროფესიონალებისა, ახალგაზრდათა ლენინური სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, ადგი-ლობრივი ქალაქის საბჭოსი, პოლიტგანყოფილებებისა, ეროვნულ უმცირესობათა, წითელი არმიის და ფლოტისა, მუშა-ქალებისა, რომელნიც უშუა-ლოდ და კავშირებული არიან წარმოებასთან, კოლეგიურნების და კოლმეურნე ქალებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა (კოოპერაციის, თავდაცვა-ავიაქიმისა და სხვ.).

აღნიშნული საარჩევნო კომისიების წევრებს ამტკიცებს სათანადო რესპუ-ლიკისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო თავ-მჯდომარეებს ნიშნავს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგენით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

4. სარაიონო საარჩევნო კომისიას ადგენს სარაიონო აღმასრულებელი კო-მიტეტი. მმ კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდენ: თავმჯდომარე, ორი წარმომადგენელი სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და თითო წარმომა-დგენელი: საქალაქო ან სასოფლო საბჭოსი, რომელიც რაიონის ცენტრშია, პროფესიონალებისა, ახალგაზრდათა ლენინური სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, პოლიტგანყოფილებისა, რომელიც რაიონის ტერიტორიაზე იმყოფება, ეროვნულ უმცირესობათა, მუშა-ქალებისა, რომელიც უშუალოდ და კავშირებული არიან წარმოებასთან, კოლმეურნების და კოლმეურნე ქალე-ბისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა (კოოპერაციის, თავდაცვა-ავიაქიმისა და სხვ.), აგრეთვე წითელი არმიის და ფლოტისა (იმ ადგილებში, სადაც მათი ნაშილებია დაბინაცემული).

5. საქალაქო საარჩევნო კომისიები, სათანადო საქალაქო საბჭოს დადგე-ნილებით, ეწყობა ქალაქ ტფილისში, ბათომში, სოხუმში, სტალინირში, ქუთას-ში, ფოთში, თელავში, გურჯაანში, გორში, ხაშურში (სტალინისში), ბორჯომში, ახალციხეში, ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ხონში, სენაკში, ზუგდიდ-ში და მახარაძეში.

საქალაქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე, ორი წარმომადგენელი სათანადო ქალაქის საბჭოსი და თითო წარმომადგენელი პროფესიონალებისა, ახალგაზრდათა ლენინური სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, ეროვნულ უმცირესობათა, მუშა-ქალებისა, რომელიც უშუალოდ და კავშირებული არიან წარმოებასთან, და საზოგადოებრივი ორგანი-ზაცეიბისა (კოოპერაციის, თავდაცვა-ავიაქიმისა და სხვ.), აგრეთვე წითელი არ-

შიის და ფლოტის წარმომადგენელი (იმ ქალაქებში, სადაც მათი ნაცილებია დაბინავებული).

ტფილისის, ქუთაისის და ფოთის საქალაქო საარჩევნო კომისიებში, გარდა აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლებისა, უნდა შედიოდენ იგრეთვე წარმომადგენლები იმ სოფლის საბჭოებისა, რომლებიც აღნიშნული ქალაქების საბჭიებთან არიან შემოერთებული, და კალმეჟნენებისა.

6. ქალაქის სარაიონო საარჩევნო კომისიები ეწყობა ქალ. ტფილისის სარაიონო საბჭოებთან.

ქალაქის სარაიონო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე, ორი წარმომადგენელი სათანადო სარაიონო საბჭოსი და თითო წარმომადგენელი პროფესიულებისა, ახალგაზრდათა ლენინური სრულიად საკავშირო კომუნისტური კავშირისა, ეროვნულ უმცირესობათა, წითელი არმიისა, მუშების და მუშა-ქალებისა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული არიან წარმოებასთან, და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა (კოოპერაციის, თავდაცვა-ავიაციმისა და სხვ.).

შენიშვნა. ქალ. ტფილისში, ბათომში, სოხუმში და ქუთაისში და აგრეთვე სამრეწველო ცენტრებში საქალაქო და სარაიონო საარჩევნო კომისიებს შეუძლიათ დაარსონ მსხვილ საწარმოებში დამხმარე კომისიები, რომლებიც სათანადო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელებით ანხორციელებენ საორგანიზაციო ლონისძიებებს, რაც დაკავშირებულია არჩევნების მოშხადებისა და ჩატარებასთან.

7. სარაიონო საარჩევნო კომისიების წევრებს ამტკიცებს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო თავმჯდომარებს ნიშანას: ავტონომიურ რესპუბლიკებში და ოლქში—სათანადო რესპუბლიკისა და ოლქის საარჩევნო კომისიის წარდგენით, აფხაზეთის ასსრ-ის, აფარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის აფრ. ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, კუთვნილებისამებრ, ხოლო საქართველოს სსრ-ის დანარჩენ რიონებში—ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგენით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

8. ტფილისის, ქუთაისის და ფოთის საქალაქო საარჩევნო კომისიების წევრებს ამტკიცებს სათანადო საქალაქო საბჭო, ხოლო თავმჯდომარებს ნიშანას, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგენით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

ბათომისა და სოხუმის საქალაქო საარჩევნო კომისიების წევრებს ამტკიცებს სათანადო საქალაქო საბჭო, ხოლო თავმჯდომარებს ნიშანას, სათანადო რესპუბლიკის საარჩევნო კომისიის წარდგენით, აფარისტანის ასსრ-ის და აფხაზეთის ასსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, კუთვნილებისამებრ.

9. ხრალინირის, თელავის, გურჯაანის, გორის, ხაშურის (სტალინისის), მორჯომის, ახალციხის, ვიათურის, ზესტაფინის, სამტრედიის, ხონის, სენაკის,

ზუგლიდისა და მახარაძის საქალაქო საარჩევნო კომისიების წევრებს ამტკიცებს სათანადო საქალაქო საბჭო, ხოლო თავმჯდომარებს ნიშნავს სათანადო შარიალონო აღმასრულებელი კომიტეტი.

ქალ. ტფილისის სარაიონო საარჩევნო კომისიების წევრებს ამტკიცებს სათანადო საქალაქო სარაიონო საბჭო, ხოლო თავმჯდომარებს ნიშნავს ტფილისის საქალაქო საბჭო.

10. სასოფლო საარჩევნო კომისია ეწყობა სასოფლო საბჭოსთან. ამ კომისიაში შედიან: თავმჯდომარე, ორი წარმომადგენელი სასოფლო საბჭოსი და იმით წარმომადგენელი პროფესიონალი, ახალგაზრდათა ლინინური სრულიად საკავშირო კომისიას ტური კავშირისა, პოლიტგანკოფილებისა, რომელიც სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე იმყოფება, ეროვნულ უმცირესობათა, კოლმეურნების და კოლმეურნე ქალებისა, მუშების და მუშა-ქალებისა (ფაბრიკების, ქარხნების, საბჭოთა მეურნეობების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და სხვ.) და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა (კომპერაციის, თავდაცვა-ავიაქიმისა და სხვ.), აგრეთვე წითელი არმიის და ფლოტის წარმომადგენელი (იმ აღილებში, სადაც მათი ნაწილებია დაბინავებული).

სასოფლო საარჩევნო კომისიის წევრები, ამტკიცებს სასოფლო საბჭო, ხოლო კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

სასოფლო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს იმ სოფლებში, რომლებიც ქალაქებთან არიან შემოურთებული, ნიშნავს სათანადო საქალაქო საბჭო.

11. ყველა საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში უნდა უზრუნველყოფილი იქნეს ქალების მონაწილეობა.

12. საარჩევნო კომისიები ვალდებულია არიან:

ა) ხელმძღვანელობა გაუწიონ სათანადო ტერიტორიის ფარგლებში საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების არჩევნების მომზადებასა და გატარებას;

ბ) თვალყური აღენონ არჩევნების კანონიერად და დროულად წარმოებას;

გ) ხელმძღვანელობა გაუწიონ ქვემდებარების საარჩევნო კომისიებისა და მათი რწმუნებულების მუშაობას;

დ) მოახსენონ სათანადო აღმასრულებელ კომიტეტებს ქვემდგომი საარჩევნო კომისიების დაშლის ან ცალკე წევრების გადაყენების შესახებ;

ე) მოსობოვონ ქეემდგომ საარჩევნო კომისიებს ანგარიში შესრულებული მუშაობის შესახებ;

ვ) წარუდგინონ ზემდგომ საარჩევნო კომისიებს და სათანადო საბჭოებს და აღმასრულებელ კომიტეტებს ცნობები შემოლებული ფორმით არჩევნების მსვლელობის თაობაზე, აგრეთვე ყოველივე საჭირო მასალა და ანგარიში არჩევნების შესახებ;

ზ) გაგზავნონ თავისი წარმომადგენლები ქვემდგომ საარჩევნო კომისიებში მათი მუშაობისა და საარჩევნო კომისიების მსვლელობის გასაცნობად;

თ) განიხილონ საჩივრები ქვემდგომი საარჩევნო კომისიების მოქმედების შესახებ და, თუ საჭირო იქნება, გააუქმონ ამ კომისიების დადგენილებანი.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიის ეკისრება აგრეთვე გამოსცეს ხელისუფლების ორგანოებისა და მოსახლეობისათვის სავალდებულო განმარტებანი / საქართველო საარჩევნო კანონმდებლობის შეფარდების შესახებ.

შენიშვნა. ჰემდგომი საარჩევნო კომისიის ფუნქციებს იმ სასოფლო საარჩევნო კომისიების მიმა ით, რომელიც ქალაქებთან შემორტყებულ სოფლებში არიან დაარსებული, ანხორციელებს სათანადო საქალაქო საარჩევნო კომისია.

13. სასოფლო, საქალაქო და ქალაქის სარაიონო საარჩევნო კომისიებს, გარდა იმ მოვალეობათა, რაც ამა ინსტრუქციის 12 მუხლიდან გამომდინარეობს, ვკისრებათ:

ა) შეადგინონ და დამტკიცონ საარჩევნო უფლების მქონე პირთა (ამონ გრჩეველთა) სიები;

ბ) შეადგინონ იმ პირთა სიები, რომელნიც მოკლებული არიან საარჩევნო უფლებას, წარუდგინონ ეს სიები დასამტკიცებული საქალაქო საბჭოს, სარაიონო საბჭოს ან სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, კუთვნილებისამებრ, და გამოაქვეყნონ ისინი აღნიშნული ორგანოების მიერ დამტკიცების შემდეგ;

გ) დაპყონ სათანადო ტერიტორია საარჩევნო უბნებად;

დ) დაუგზავნონ სახელობითი საარჩევნო უწყებები ამომრჩევლებს და მიიღონ სხვა ღონისძიებანი საარჩევნო კრებების დროისა და ადგილის შესატყობინებლად;

ე) დანიშნონ თავისი რწმუნებულები არჩევნებისათვის საარჩევნო უბნებში.

შენიშვნა. სახელობითი საარჩევნო უწყებები საარჩევნო კრების დანიშნის შესახებ ქ. ტფილისში ეგზანება მხოლოდ იმ ამომრჩევლებს, რომელნიც არ შედიან საწარმოებსა და დაწესებულებებში და შეკავშირებული არ არიან პროფესიონალურ ორგანიზაციებად.

14. საარჩევნო კომისიები სდეგებიან საბჭოთა არჩევნების დროისათვის და იშლებიან ერთი თევის შემდეგ საარჩევნო კამპანიის დამთავრების დღიდან სრულიდან საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ვანკარგულებით.

შენიშვნა 1. საარჩევნო კომისიები თავისი მუშაობისათვის იყენებენ იმ აღმასრულებელი კომიტეტებისა, საქალაქო, სარაიონო და სასოფლო საბჭოების აპარატს, რომლებთანაც ისინი არიან დაარსებული.

შენიშვნა 2. საარჩევნო კომისიების წევრები კომისიებში მუშაობისათვის განსაკუთრებულ გასამრჯელოს არ ღებულობენ.

თ ა ვ ი II.

 საქართველო
საგანგაო მინისტრი

ამომრჩევლებისა და ხარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა განსაზღვრა.

15. უფლება აირჩიონ და არჩეულ იქნენ საბჭოებში, საქართველოს სსრ კონსტიტუციის ძალით, ეკუთვნის, სქესისა, ეროვნებისა, რასისა, ბინადრობისა და სხვ. განურჩევლად, საქართველოს სსრ შემდეგ მოქალაქეთ, რომელთაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შემსრულებიათ:

ა) ვინც ცხოვრების სახსარს სარგო და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომით პოლობს, როგორც მაგალითად: მრეწველობაში, ვაჭრობაში ტრანსპორტზე, სასოფლო მეურნეობაში დაქირავებული მუშა და მოსამსახურე, კოლმეურნე, ერთპიროვნული მშრომელი მეურნე, რომელიც დაქირავებულ შრომის არ იყენებს მოგების მიზნით, შინამრეწველა და ხელოსანი, საბჭოთა დაწესებულების მოსამსახურე და სხვ., აგრეთვე ვინც შინაურ მეურნეობას ეწევა რა ამით შესაძლებლობას აძლევს დასახელებული კატეგორიების პირ გასწოონ სარგო შრომა;

ბ) მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და წითელი ფლოტის წითელ-არმიელთ და წითელფლოტელთ.

შენიშვნა. ამ მუხლში აღნიშნული პირნი არ კარგავენ საარჩევნო უფლებას მაშინაც, თუ ისინი მოკლებული არიან შრომის უნარს ან დროებით უმცურავად დარჩენენ.

16. აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებით საქართველოს სსრ მთავრობისა და თანასწორი სარგებლობს კავშირის სხვა საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მოქალაქე, რომელიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე იმყოფება, თუ ის შეესაბამება 15 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

17. საქართველოს სსრ, იცავს რა ყველა ქვეყნისა და ეროვნების მშრომელთა სოლიდარობას, ყველა პოლიტიკურ უფლებასთან ერთად აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას ანიჭებს უცხოელებასც, რომელიც მის ტერიტორიაზე რაიმე შრომის ეწევიან და ეკუთვნიან მუშათა კლასს, ან გლოხობას, რომელიც არ სარგებლობს სხვისი შრომით.

შენიშვნა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ან აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის აეტ. ოლქის საარჩევნო კომისიების დადგენილებით საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის უფლება შეიძლება მიენიჭოს აგრეთვე იმ უცხოელ მოქალაქეებს, რომელიც მოსამსახურეთა და ინერჯერ-ტექნიკური პერსონალის კატეგორიის მკუთვნიან და რომელიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობნ, უკეთ საკმაოდ დამტკიცებულია მათი სრული ლოიალობა საბჭოთა მთავრობის მიმართ.

18. ვერ აირჩევენ და ვერ იქნებიან არჩეულნი, ოუზდაც; ეკუთვნოდენ მთავრობებით ერთ-ერთ, 15 მუხლში ჩამოთვლილ კატეგორიის:

ა) ვინც მოგების მიზნით სარგებლობდა ან იმუშავდ სარგებლობს დაქირავებული შრომით;

■ ბ) ვინც უშრომოდ მიღებული შემოსავლით ცხოვრობდა ან ამჟამდე ცულობის, როგორიცაა კაპიტალის სარგებელი, საწარმოს შემოსავალი, ქონების შემოსავალი და სხვა;

გ) ვინც კერძო ვაჭრობას და აგრეთვე სავაჭრო და საკომერციო შუამაულობას ეწეოდა ან ამჟამდე ეწევა;

დ) ყველა სარწმუნობისა და რჯულის რელიგიური კულტის სასულიერო მსახური, როგორც ყოფილი, ისე ახლანდელი;

ე) მოსამასხურე და აგნეტი ყოფილი პილიკისა, უანდარმთა ცალკე კორპუსისა, დამცველი განყოფილებისა და საქართველოს მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმისა, რუსეთში ყოფილი მეფის საგვარეულოს წევრი, აგრეთვე ის პირი, ვინც ხელმძღვანელობას უწევდა პოლიციას, უანდარმერიას და დამსჯელ ორგანოებს;

ვ) ვისაც სისხლის სამართლის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით გადაწყვეტილი იქნა სოციალური დაცვის ლონისძიება, რომელსაც თან სდევს უფლებათა შეზღუდვა,—სასამართლოს განაჩენით დადგენილ ვადამდე;

ზ) ვინც დადგენილი წესისამებრ ცნობილია სულით იყადმყოფად ან შეშლილად.

19. მოქალაქეთა ცალკეულ კატეგორიებს შორის საარჩევნო უფლება ერთმევათ:

ა) იმ მიწათმომქმედს, მესაქონლეს, შინამრეწველს და ხელოსანს, რომელიც იყენებს სასეზონო ან მუზიკი დაქირავებულ შრომას ისეთი რაოდენობით, როთაც მისი მეურნეობა სცილდება შრომითი მეურნეობის ფარგალს;

შენიშვნა. შრომითი მეურნეობის ნიშანი ამ შემთხვევაში ის არის, რომ დაქირავებულ შრომას იქნა დამხმარე მნიშვნელობა და ოჯახში მყოფი ყველა შრომისუნარიანი წევრი იუცილებლად მონაწილეობს ყოველ დღიურ მუშაობაში.

ბ) კულაკებს, რომლებიც გადასახლებული არიან იმ სოფლებიდან და დაბებიდან, სადაც ისინი წინათ ცხოვრობდენ, საბჭოთა საწინააღმდეგო და კოლმეურნეობის საწინააღმდეგო გამოსკლებისათვის;

გ) ვაჭრებს, სპეცულანტებს, ჩარჩებს, სავაჭრო შუამაულებს და მევახშეებს;

დ) იმ პირს, რომელიც იჯარით იღებს მიწას ისეთ პირობებზე, რასაც სარაონო საგადასახადო კომისია სცნობს კაბილურ პირობებად მიწის გამცემისათვის;

ე) იმ პირს, რომელიც იჯარით იღებს ბალებს, ვენახებს და სხვას სავაჭრო და სამრეწველო ექსპლოატაციის მიზნით;

შენიშვნა. ბალების, ვენახების და სხვ. იჯარით აღება ისეთი რაოდენობით და ისეთი პირობებით, რაც არ გამოდგება საფუძვლად მოიჯარობრის სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესით დაბეგრისათვის, არ შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე მოიჯარობრისათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევის საფუძვლად.

3) იმ პირს, რომელიც სისტემატურად აქირავებს საცხოვრებლად ანუ სტაციონარულად შეარმოს მოსათავეს გებლად ცალკეულ შენობას, იმ შემთხვევაში, უკეთუ სათანადო მეურნეობა, შენობების ასეთი გაქირავებით მიღებული შემოსავლის რაოდენობის მიხედვით, მიეკუთვნება იმ მეურნეობათა კატეგორიას, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესით იძეგრებიან;

4) სამრეწველო ტიპის საწარმოს მეპარტიონებს და მოიჯაზადრეს, რომელიც ეწევა მოსახლეობის ექსპლოატაციას ამა თუ იმ სამუშაოს გაცემით სახლში შესასრულებლად ან ამ საწარმოს იჯარით ან ქვე-იჯარით გაცემით;

5) თეთრი ჯარების ყოფილ ოფიცირებას და მოხელეებს (უკეთუ ისინი არ უდგებიან მე-20 მუხლის „ზ“ პუნქტის მოქმედებას), აგრეთვე კონტრრევოლუციონური ბანდების ხელმძღვანელებს;

6) იმ პირს, ვინც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელმძღვანელობას უწევდა პოლიციის, უანდარმერიის და დამსჯელი ორგანოების მოქმედებას, როგორც სამეურნ წყობილობის, დროს, ისე თეთრი კონტრრევოლუციონური მთავრობების დროს, როგორიც არიან: ყოფილი მინისტრი, მისი ამხანაგი, სამინისტროთა დეპარტამენტის დირექტორი, გენერალ-გუბერნატორი, იმ ადგილის მთავრმართობების და სამოქალაქო გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, აგრეთვე მათთან მყოფი გან-საკუთრებულ მინდობილობათა მოხელე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელე, საპატიმრო უწყების ყველა ყოფილი მოსამასურე, თავად-აზნაურობის საგუბერნიო და სამაზრო წინამდობლი, სასამართლო; პალატის სისხლის სამართლის დეპარტამენტის თავმჯდომარე და წევრი, აგრეთვე სასამართლო პალატის პროკურორი და პროკურორის ამხანაგი, განსაკუთრებულ დიდ საქმეთა გამონაბეჭდის დელი, სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე და წევრი, იმ საგმომმინისტრო კომისიის თავმჯდომარე და წევრი, რომელიც კონტრრევოლუციონურ მთავრობათა ტერიტორიაზე მოქმედობდა, საგუბერნიო სამართველოს წევრი; საერობო, საგლეხო და მაზრის უფროსი და ის პირი, რომელსაც რევოლუციამდე ეჭირა საკომინდო თანამდებობა სადისკიპლინო ბატალიონში; აგრეთვე იმ პირს, ვისაც მენშევიკური მთავრობის დროს საჯაროთველოში ეჭირა: მინისტრისა, მისი ამხანაგისა, გენერალ გუბერნატორისა, საგანგებო კომისირისა, სახალხო გრარდისის შტაბის თავმჯდომარისა და წევრისა, საგანგებო და სამხედრო საევლე სასამართლოს წევრისა და პროკურორისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორისა და ვიცე-დირექტორისა, იმავე სამინისტროს აღმინისტრატიული განყოფილების უფროსისა და უფროსის თანაშემწისა, აღმინისტრაციის ინსპექტორისა და საპატიმროების ინსპექტორის თანამდებობა;

7) აღმინისტრატიული წესით გადასახლებულ პირს, გადასახლების ვადის განმავლობაში, აგრეთვე იმას, ვისაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვს სასამართლოს განაჩენით;

8) იმ პირთა ოჯახის წევრებს, რომელთაც საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვთ ამა ინსტრუქციის მე-18 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, და „ე“

პუნქტებისა და ამ მუხლის შესაბამისი პუნქტების საფუძველზე, თუ ისინი ნივთიერად დამოკიდებული არიან საარჩევნო უფლებას მოქლებულ პირზე და მათი არსებობის წყაროს არ წარმოადგენს დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას.

შენიშვნა. საპატიმრო ადგილებში მოთავსებული პირნა საბჭოების არჩევნებში მონაწილეობას არ ღებულობენ.

20. საარჩევნო უფლება არ ერთმევათ შემდეგი კატეგორიების პირთ, თუ ისინი ამ უფლებას არ არიან მოკლებული სხვა საფუძვლების მიხედვით:

ა) კოლმეურნეს და ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეს, რომელიც დროებით იყენებს თავის მეურნეობაში ერთი მუშის შრომას პურის, ტექნიკური კულტურების, ბალახის და სხვ. ასაღებად განსაკუთრებული გარემოების გამო, როგორიცაა: ავადმყოფობა, მობილიზაცია, მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში გაწვევა, საზოგადოებრივ თანამდებობაზე არჩევა, რაც მოითხოვს მეურნეობისა-გან ჩამოშორებას;

ბ) კოლმეურნეს და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეს, რომელიც სხვაგან მიღის სასტონო სამუშაოზე და ამ დროისათვის ქირავობს თავის მეურნეობაში არა უმეტეს ერთი მუშისა;

გ) ფაბრიკა-ქარხნებისა და საბჭოთა მეურნეობის მუშას და მისი ოჯახის წევრებს, რომელთაც არ გაუწყვეტიათ კავშირი სოფლის მეურნეობასთან და რომელიც თავის მეურნეობაში იყენებენ არა უმეტეს ერთი დაქირავებული მუშის შრომისა;

დ) კოლმეურნეს და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნე-ციწათმომქმედს, მე-საქონლეს და მეთევზეს, რომელიც თავისი შრომის პროდუქტებს ბაზარზე ასა-ლებენ;

ე) შინამრეწველსა და ხელოსანს, რომელიც ეწევა შრომითს მეურნეობას დაქირავებული მუშა-ძალის გამოყენებლად ან ჰყავს არა უმეტეს ორი შევირ-დისა, ან წარმოების პირობების გამო სარგებლობს ერთი დაქირავებული მო-ზრდილი მუშის შრომით;

შენიშვნა. ამ პუნქტში აღნიშნულ შინამრეწველებსა და ხელოსნებს არ ჩამოერთმევათ საარჩევნო უფლება იმ შემთხვევაშიაც, თუ ისინი ყიდიან ბაზარზე თავის წარმოების ნაკეთობას.

ვ) იმ მუშებს, მშრომელ გლეხებსა და ყაზახებს, მოსამსახურეებს, შინა-მრეწველებსა და ხელოსნებს, რომელიც თავის დროზე თეთრი ჯარების რი-გზში მობილიზაციით იყვნენ გაწვეული;

ზ) თეთრი ჯარების იმ ყოფილ ოფიციერსა და სამხედრო მოხელეს, რომ-ლებიც შემდეგ იმყოფებოდენ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში და აქტიურ მონაწილეობას იღებდენ საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებულ და-ცვაში; აგრეთვე იმათ, კინც ამჟამად იმყოფება მუშათა და გლეხთა წითელი არ-მიის ნამდვილ სამხედრო სამსახურში;

შენიშვნა. მონაცილეობის მიღება საბჭოთა ხელისუფლების შემთხვევა
ლებულ დაცვაში გულისხმობს სამხედრო დავალებათა ყოველივე შესრუ-
ლებას სამოქალაქო ომის დროს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნაწი-
ლებში და სამმართველოებში, როგორც ფრონტზე, ისე ზურგში;

თ) იმ პირს, ვინც ცხოვრობს სახელმწიფო სესხის მოგებისა და პროცენ-
ტების შემოსავლით, აგრეთვე სახელმწიფო შემნახველ შრომითს სალაროში შეტა-
ნილი ფულის შემოსავლით;

შენიშვნა. საზღვრულარეთიდან სსრ კავშირის მოქალაქის მიერ არ-
სებული წესით ფულადი თანხისა და ნივთების მიღება (პენიია, მექენიდ-
რეობა, ალიმენტი, დაზღვევა) თავის-თავად არ შეიძლება საფუძვლად და-
ედვას ამ პირებისათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევას;

ი) შრომისა და ომის ინვალიდებს, რომლებიც განსაკუთრებული მიზეზე-
ბის გამო ეწევიან წვრილ ვაჭრობას ფეხზე და თაბახებით, აგრეთვე იმ პირთ,
რომლებიც დროებით ეწევოდენ ასეთსავე წვრილ ვაჭრობას უმშევრობის ან
დროებითი ინვალიდობის გამო;

კ) იმ პირს, რომელიც თავისი შრომისათვის იღებს საპროცენტო სასყი-
დელს სახელმწიფო და კომპერატიული ორგანიზაციებისაგან;

ლ) იმ პირს, ვინც დაქირავებით ან რელიგიური საზოგადოების არჩევით
ასრულებს აღმინისტრატიულ-სამეცუნეო და ტექნიკურ მოვალეობას რელიგიური
წესების შესრულებისა და რელიგიური კულტის შენობების მოვლის საქმეში,
როგორიც არის, მაგალითად, მგალობელი, ორგანისტი, დარაჯი, დამლაგებელი,
ზარების მრეკავი და სხვ., აგრეთვე საექლესიო-სამრევლო საბჭოს წევრი;

მ) თავისუფალი პროცესის პირს, რომელიც საზოგადოებრივ-სასარგებ-
ლო შრომას ეწევა;

ნ) იმ პირის ოჯახის წევრებს, რომელიც საარჩევნო უფლებას მოკლებულია,
თუ ისინი ნივთიერად ამ პირზე დამოკიდებული არ არიან და მათი არსებობის
წყაროს წარმოადგენს დამოუკიდებელი და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა.

საარჩევნო უფლება არ ერთმევათ ასეთ უფლებას მოკლებულ პირთა იმ
შეილებასაც, რომლებმაც სრულწლოვანებას მიაღწიეს 1925-ს და შემდეგ წლებ-
ში და რომლებიც სრულწლოვანებამდე იმყოფებოდენ მშრომელთა კმიყოფაზე,
დღეს კი ეწევიან დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, თუნდაც
ისინი დედ-მამასთან ცხოვრობდენ.

თ ა ვ ი III.

მოქალაქეთა საარჩევნო უფლების აღდგენის წესი.

21. იმ პირთ, ვინც მოკლებული არიან საარჩევნო უფლებას, როგორც
ექსპლოატატორთა კლასის წარმომადგენელი (მემამულე, ბურჟუაზია, რელიგი-
ური კულტის მსახური), აგრეთვე პოლიციისა, უნდარმერიისა და საპატიმრო
უზების ყოფილ დაბალ ტექნიკურ მოსამსახურებს შეიძლება აღდგინოთ საარ-

ჩევნო უფლება, თუ ისინი არა ნაკლებ ხუთი წლისა ეშვეიან წარმოების დღის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და დაამტკიცეს თავისი ლოიალობა საბოთა ხელისუფლების მიმართ.

ამ პიროვნეულობა აღმოჩენის დროის განმავლობაში მიმდინარეობს, მათ შორის კუთხით, მათ შორის და სოხუმის საქალაქო საარჩევნო კომისიების, აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარისტანის ასსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური კომისიებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით.

აღნიშნული კომისიების დადგენილება საარჩევნო უფლების აღდგენის შესახებ უნდა დამტკიცებულ იქნეს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის, საქალაქო საბჭოს, ავტონომიური ოესპუბლიკისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, ან და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ, კუთხონლებისამებრ.

შენიშვნა 1. ამ მუხლზი დასახელებულ პირთაგან იმას, ვინც პროფესიონალური კავშირის, წევრია და თავი გამოიჩინა პატიოსანი შრომით და საბჭოთა ხელისუფლების ერთგულებით, შეიძლება აღნიშვნულმა ორგანოებმა აღუდგინონ საარჩევნო უფლება ხუთი წლის შრომის სტაჟის უქმნლადაც, თუ სათანადო შუამდგომლობა იქნება განკუთხულო.

შეინშვნა 2. საარჩევნო კომისიების მუშაობის დამთავრების შემდეგ ამ მუხლში აღნიშნულ პირთა შეუძლებობას საარჩევნო უფლებაში აღდგენის შესახებ უშუალოდ სწყვეტენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, ტფილისის, ქუთაისის, ფუთის, ბათომის და სოხუმის საქალაქო საბჭო, აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარისტანის ასსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის აკადემიური კომიტეტის უნიტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

22. იმ პირო, ვინც საარჩევნო უფლებას მოკლებულია ამ ინსტრუქციის 18 მუხლის „ე“ პუნქტისა და 19 მუხლის „თ“ და „ი“ პუნქტების ძალით, პოლიციის, უანდარმერიის და საპატიმრო უწყების დაბალ მოსამასურეთა გამოკლებით, რომელიც 21 მუხლში არიან მოხსენებული, თუ ისინი არა ნაკლებ ხუთი წლისა ეშვებიან წარმოებითს და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და დაამტკიცეს თავისი ლოიალობა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, შეიძლება აღდგინოს საარჩევნო უფლება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის განსაკუთრებული დადგენილებით.

23. განდევნილი კულტების შეიღებს, როგორც სპეციალურ დასახლებულ ადგილებში და გადასახლების ადგილებში მყოფთ, ისე აღნიშნული ადგილების გარეშე მცხოვრებთ, საარჩევნო უფლებას აღუდებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ ისინი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას ეწევიან და კეთილსინდისიერად მუშაობენ.

24. კულაპებს, რომელებიც განდევნილი იყვნენ იმ სოფლებიდან და დამტბიდან, სადაც ისინი წინათ ცხოვრობდნენ, საბჭოთა-საჭინააღმდეგო და კოლმეურ-

ნეობის საჭინააღმდევე გამოსვლებისათვის, და რომელმაც თავი გამოიჩინა მაგრამ ახალ საცხოვრებელ ადგილზე უკეკვილი პატიოსანი მუშაობით და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათათვის ხელის შეწყობით, თუ მათი განდევნის დღიდან ხუთი წელია გასული, ხოლო იმათი განდევნის დღიდან, ვინც ოქროსა და პლატინის მრეწველობაში სამი წელი იმუშავა, სამი წელია გასული, საარჩევნო უცალება აღედგინებათ აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარისტანის ასსრ-ის და სამხრეთ-ოსეთი ავტ. ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კამიტეტის და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კამიტეტის პრეზიდიუმის დადგენ-ლებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების წარდგენისამებრა.

ამ კატეგორიის პირებს, თუ ისინი წარმოებაში დამკარელები არია და საზოგადოებრივ მუშაობაში იქტიურად მონაწილეობენ, განსაკუთრებით ახა გაზრდისას, შეიძლება საარჩევნო უფლება აღედგინოს იმავე ორგანოების და გვინილებით აღნიშნული ვადგინს გასვლამდე.

შენიშვნა. ოჯახის წეთავურის საარჩევნო უფლების აღდგენა ვრცელდება ოჯახის ყველა წევზე, თუ არ ასეებობს სხვა რომელიმე საფუძველი უკანასკნელისათვის საარჩევნო უფლების ჩამოსართმევად.

25. აღმინისტრატიულად გადასახლებულებს, აგრეთვე იმ პირთ, ვის შესახებაც სასამართლოს გამოტანილი აქვს განაჩენი, რომელიც მათ ართმევს საარჩევნო უფლებას (მუხ. 19, 3. „კ“), საარჩევნო უფლება აღედგინებათ, თუ კი ეს უფლება მათ არა აქვთ ჩამორთმეული რაიმე სხვა საფუძველზე, იმ მომენტითან, როდესაც მათ მიმართ შეწყდება აღმინისტრატიული ან სასამართლოს რეპრესიის მოქმედება, ისე, რომ ამისთვის საჭირო არაა სათანადო ორგანოს სცენიალური დადგენილება.

26. იმ პირთ, რომელთაც საარჩევნო უფლება აღდგენილი აქვთ ზემდგომი საბჭოებისა და აღმასრულებელი კამიტეტების მიერ, არ შეიძლება ჩამოერთოვა საარჩევნო უფლება იმავე საფუძველზე ხელისუფლების ქვემდგომი ორგანოების მიერ.

27. იმ პირს, რომლის შუამდგომლობაც საარჩევნო უფლების აღდგენის შესახებ უარყოფილ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, არ შეუძლია აღმრას განშეორებითი შუამდგომლობა ერთი წლის გასვლამდე უარყოფის დღიდან. გამნაკლისი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება ახარი გარეობა ან აღმრაული იქნება პროფესიონალური ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეუამდგომლობა.

თ ა ვ ი IV.

ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა ხევბის შედგენა.

28. როგორც ამომრჩეველთა, ისე საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა ხევბის შედგენისა და შემოწმების დროს სათანადო ორგანოებმა უნდა ისელ-

შმდვანელობ ამა ინსტრუქციის 15-20 მუხლებით, რომელითაც განსაზღვრულია, საქართველოს სსრ კონსტიტუციის თანახმად, იმ პირთა წრე, ვინც საარჩევნო უფლებით სარგებლობს, და აგრეთვე იმ პირთა და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების წრე, ვინც საარჩევნო უფლებას მოქლებოთაა.

29. საარჩევნო უფლების მქონე პირთა (ამომრჩეველთა) სიებს ადგენენ და ამტკიცებენ საქალაქი (ტფილისში—ქალაქის სარაიონი) და სასოფლო საარჩევნო კომისიები: სოფლად ცალკე თითოეული სოფლისათვის, ხოლო ქალაქებში — წარმოებითი ან პროფესიონალური ერთეულების მიხედვით. იმ ამომრჩეველთა სიები, რომლებიც არ შედიან საწარმოებში და დაწესებულებებში და არ არიან შეკავშირებული პროფესიონალურ ორგანიზაციებში, შედგენილი იქნება ტერიტორიალური ერთეულების მიხედვით (რაიონი, უბანი და სხვ.).

30. საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა მუშადივი სახელმძღვანი აღრიცხვა ევალება სასოფლო და საქალაქო (ტყილისში—ქალაქის სარაიონო) საბჭოებს.

31. 30 მუხლში აღნიშვნული ორგანოები ვალდებული არიან შექრიბონ დოკუმენტაციური ხასიათის ცნობები იმ პირთა შესახებ, ვისაც საარჩევნო უფლება უნდა ჩამოერთვას. ასეთი ცნობებია:

ა) იმ პირთათვის, რომელთაც საარჩევნო უფლება სასამართლოს მიერ აქვთ ჩამორომეული, ან ვის შესახებაც სასამართლოს გამოტანილი აქვს განაჩენი ზათი გაძეების შესახებ მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან, — განაჩენის ასლი ან სა-თანადო სასამართლო ორგანოს (წიგბაზ;

ბ) იმ პირთათვის, ვინც დაქირავებულ შრომას იყენებს მოვების გამოსახუნად, ან ვინც ვაკრობას ეწევა, აგრეთვე იმ პირთათვის, რომლებიც უშრომოდ მიღებული ჟემოსავლით ცხოვრობენ,—საფინანსო ორგანიზმის ცნობები მათ მიერ საშემოსავლო და სარეწაო გადასახადების გასტუმრების შესახებ, დამზღვევი სალაროების ცნობები დაზღვევის თანხების შეტანის შესახებ, ცნობები მათზე იჯარით გაცემული სავაჭრო საღომების შესახებ და სხვა;

გ) სულით ავადმყოფთა და შემზღვილთათვის — ჯანვროელობის ორგანოების აქტები ან აქტების შემოწმებული ასლები სულით ავადმყოფად ან შემზღვილად ცნობის შესახებ;

დ) ყოფილი პოლიციის მსახურთა და აგენტების, რელიგიური კულტის მსახურთა და ყველა დანარჩენ პირთათვის, ვინც ამა ინსტრუქციის მე-19 მუხლშია ჩამოთვლილი, —აღმინისტრატიული ორგანოებისა, საქალაქო და სასოფლო საბჭოებისა ან შინაგან სამინისტროს სახალხო მომსახურით და სამართლით.

82. იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ წყაროდან მიღებული იქნება ცნობა და განცხადება (წერილობითი ან სიტყვიერი) იმის შესახებ, რომ ესა თუ ის პირი ეკუთვნის საარჩევნო უფლებას მოკლებულთა ერთ-ერთ კატეგორიას, ის ორგანოები, რომელიც აღრიცხვას აწარმოებენ, ვალდებული არიან მთა-ხდინონ ამ ცნობებისა და განცხადებების ფაქტიური შემოწმება და შეაგროვონ ქველა საჭირო დოკუმენტალური ცნობები ამ პირის შესახის.

33. ის ორგანოები, რომლებიც საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა აღრიცხვის აწარმოებენ, გადასცემენ სათანადო სასოფლო და საქალაქო სარაიონო საარჩევნო კომისიებს მათ მიერ შექრეფილ მასალას, რაც წარმოადგენს საფუძველს საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიების შედგენისათვის.

34. საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიების აღვენენ საბჭოთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში მხოლოდ სასოფლო, საქალაქო და ქალაქის სარაიონო საარჩევნო კომისიები და ამტკიცებენ: სოფლებში და იმ ქალაქებში, სადაც სასოფლო საბჭოებია,—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც საქალაქო საბჭოებია, და მათთან შეერთებულ სოფლებში—საქალაქო და სარაიონო საბჭოები, კუთვნილებისამებრ.

საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიების შედგენა ხდება დოკუმენტალური ხასიათის ცნობების მიხედვით (მ. 31).

შენიშვნა. იმ პირებს, რომლებიც შეტანილ არიან საარჩევნო უფლებას მოკლებულთა სიაში, უნდა მიეცეს მათი მოთხოვნისამებრ სათანადო ცნობები.

35. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელნი, რომელნიც არა მშრომელთა კატეგორიებს ეკუთვნიან და რომელნიც საქართველოს სსრ კონსტიტუციის ძალით საარჩევნო უფლებით არ სარგებლობენ, არ უნდა იქნენ შეტანილი არც ამომრჩეველთა სიაში, არც საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიაში.

36. საარჩევნო კომისიები აქვთ ყნებენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების, საქალაქო და სარაიონო საბჭების მიერ დამტკიცებულ იმ პირთა სიებს, რომლებიც საარჩევნო უფლებას მოკლებული არიან, აღგილობრივ ბეჭდების ორგანოში გამოცხადებისა და თვალიაჩინი აღვილას გამოკიდების გზით 15 დღით აღრიცხვის მაინც სათანადო საბჭოს არჩევნებამდე.

37. საარჩევნო კომისიების მუშაობის დასრულების შემდეგ საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ ის, ვინც სასამართლოს მიერ უფლება აყრილია, ან ვინც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიას თანამდების მიერ აღმინისტრატიული წესითაა გადასახლებული. სოფლებში და იმ ქალაქებში, სადაც სასოფლო საბჭოებია, აღნიშნული პირების შეტანა საარჩევნო უფლებას მოკლებულთა სიაში ევალება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც საქალაქო საბჭოებია, და მათთან შეერთებულ სოფლებში, —საქალაქო და სარაიონო საბჭოებს, კუთვნილებისამებრ.

შენიშვნა. საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიაში შეტანას სხვა რამ საფუძვლით ერთი საარჩევნო კამანიიდან მეორე საარჩევნო კამპანიამდე, იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ უდავო ცნობები არსებობს, აწარმოებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, საქალაქო და სარაიონო საბჭო, კუთვნილებისამებრ.

38. საარჩევნო უფლებას მოქლებულ პ.რთა სიებიდან იმ მოქალაქეების გამორიცხეა, რომლებიც ამ სიებში უმართებულოდ არიან ჩარიცხული, შეუძლია როგორც იმ ორგანოს, რომელმაც სიები დაამტკიცა (სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, საქალაქო და სარაიონო საბჭო), ისე აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარის, ანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის საარჩევნო კომისიებს და ავრე ივე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

თავი V.

საარჩევნო უფლებას მოქლებულ პირთა საჩივრების განხილვა.

39. იმ პირს, რომელიც ჩარიცხულია საარჩევნო უფლებას მოქლებულ პირ-ია ს.აში, შეუძლია განასაჩივროს ეს დადგენილება იმ წესით, რაც აღნიშნულია ამა ინსტრუქციის მე-40—44 მუხლებში.

40. მოქალაქემ საჩივარი უნდა შეიტანოს იმ საარჩევნო კომისიაში, რომელ-შაც სია შეადგინა.

41. საარჩევნო კომისია, რომელიც საჩივარს მიიღებს, ვალდებულია სამი დღის განმავლობაში მიღების შემდეგ გაუგზავნოს იგი თავისი დასკვნით და მოელი ქონის მასილით იმ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, საქალაქო ან სარაი-ონი საბჭოს, რომელმაც სია დაამტკიცა; ამასთან, სასოფლო საარჩევნო კომისია ს. ჩივარს გზავნის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტში სარაიონო საარჩევნო კომისიის მეშვეობით, რომელიც თავის მხრივ აძლევს საჩივრის შესახებ და-კვნას სამი დღის ვადაზე საჩივრის მიღების შემდევ.

შენიშვნა. სასოფლო საარჩევნო კომისია იმ სოფლებში, რომლებიც ქალაქებთან არიან შემოერთებული, გზავნის საჩივარს სათანადო სა-ქალაქო საბჭოში საქალაქო საარჩევნო კომისიის მეშვეობით, რომელიც თავის მხრივ აძლევს საჩივრის შესახებ დასკვნას სამი დღის ვადაზე საჩივ-რის მიღების შემდევ.

42. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, საქალაქო ან სა-რაი-ონ საბჭოს პრეზიდიუმი იხილავს საჩივარს საში დღის განმავლობაში და იავი გადაწყვეტილებას აცნობებს მოჩივარს სათანადო საარჩევნო კომისიის კომისიობით.

43. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის, საქალაქო და სარაიონო სა-ქოს პრეზიდიუმის დადგენილება, რომლითაც მოჩივარს უარი ეთქვა საარჩევნო კომისიების მოქლებულ პირთა სიიდან გამოყვანაზე, შეიძლება განსაჩივრებული იქ-ნება: ა) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და იმ საქალაქო საბჭოს პრე-ზიდიუმის დადგენილება, რომელიც ცალკეულ საადმინისტრაციო-სამეურნეო კომისიადაა გამოყოფილი,—ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ან აფხაზეთის ა სრ ის, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის საარჩევნო კომიტეტი, კუთხითილებისამტკიცა; ბ) იმ საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის დადგე-ნილება, რომელიც სარაიონო-აღმასრულებელ კომიტეტს ექვემდებარება,—სარაი-

ონი აღმასრულებელ კომიტეტში; გ) სარაიონო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენიცაუნიანულება — საქალაქო საბჭოში. აღნიშნული ორგანოები შეიცი დღის განვლობაში იხილავენ მათთან შემოსულ საჩივრებს და თავის გადაწყვეტილებას აცნობებენ მოჩივრებს და სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, საქალაქო ან სარაიონო საბჭოს.

შენიშვნა. ამ მუხლში აღნიშნული საჩივრები შეტანილ უნდა იქნეს იმ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა, საქალაქო ან სარაიონო საბჭოს პრეზიდიუმის მეშვეობით, რომელმაც გამოიტანა დადგენილება პირვანდელი საჩივრის დაქმაყოფილების უარყოფის შესახებ; აღნიშნული პრეზიდიუმი ვალდებულია სამი დღის ვადაზე გაგზავნოს საჩივრი კუთვნილებისამებრ თავისი დასკვნით და ყველა იმ მასალის თანდართვით, რაც საფუძვლად დაედვ უშესებული პირისათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევას.

44. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის და საქალაქო საბჭოს დადგენილება მე-43 მუხლში (პ. „ბ“ და „გ“) აღნიშნული საჩივრების გამო შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ან აფხაზეთის ასსრ-ის, აქარისტანის ასსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის საარჩევნო კომისიებში, კუთვნილებისამებრ.

45. საარჩევნო კომისიების მუშაობის დამთავრების შემდევ საარჩევნო უფლების მოქლებულ პირთა საჩივრების გამო აღძრულ საკითხებს სწყვეტენ სათანადო საბჭოები და აღმასრულებელი კომიტეტები.

46. მიმართვა საარჩევნო საქმეების გამო მთავრობის დაწესებულების და თანამდებობის პირისათვის და ამ დაწესებულების და პირის მიერ გაცემული დოკუმენტები და ცნობები არჩევნების საქმეების შესახებ განთავისუფლებულია ყოველივე გამოსალებისაგან.

47. იმ მოქალაქის მიმართ, რომელსაც საჩივარი აქვს შეტანილი ზემდგომ ორგანოებში მისთვის საარჩევნო უფლების უმართებულოდ ჩამორთმევის გამო, სანამ ეს საჩივარი საბოლოოდ არ იქნება განხილული, არ შეიძლება განხორციელებულ იქნეს უფლების რომელიმე შეზღუდვა, გარდა საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვისა.

განმეორებით საჩივარის შეტანა იმავე საფუძვლით არ ანთავისუფლებს მოჩივარს კანონით დაწესებულა შეზღუდვისაკან, რაც საარჩევნო უფლების ჩამორთმევასთან არის დაკავშირებული.

შენიშვნა. იმ პირთა საარჩევნო უფლების საკითხებს, რომლებსაც საარჩევნო უფლება ჩამორთმებული აქვთ სხვა საბჭოთა ოსაცუბლიკაში და რომლებიც შემდევ მოსულან მუშაობად საცხოვრებლად საქართველოს სსრ-ში, სწყვეტენ საქართველოს სსრ-ის ორგანოები მის შემდეგ, რაც საარჩევნო უფლების ჩამორთმევის ადგილიდან გამოთხოვნილ იქნება საჭირო მა აღები.

48. ის პირი, რომლებიც ხელს უშლიან ამომრჩეველებს მათი საარჩევნო უფლების განხორციელების დროს, პასუხისმგებაში უნდა იქნენ მიცემული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად.

თ ა ვ ი VI.

საარჩევნო კრებები.

49. თითოეული ამომრჩეველი ანხორციელებს საარჩევნო უფლებას მარტო ერთ ადგილას. თუ მუშაობისა და პროცესის მიხედვით ამა თუ იმ პირს საარჩევნო უფლება ეკუთვნის რამდენსამე დაწესებულებაში ან რამდენსამე ადგილას, მას ნება ეძლევა აირჩიოს ერთი რომელიმე ადგილი, სადაც მიიღებს იგი მონაწილეობას არჩევნებში.

50. საბჭოს წევრებისა და კანდიდატების არჩევა ხდება საარჩევნო კრებაზე.

51. საარჩევნო კრებას იწვევს საარჩევნო კომისია ან მისი რწმუნებული.

საარჩევნო კრების მოწვევის დრო და ადგილი ამომრჩევლებს უნდა ეცნობოს სახელობითი უწყებების დაგზავნით, აგრეთვე შესაცერი განცხადების თვალსაჩინო ადგილზე გამოკიდებით, ბეჭდვითს ორგანიში გამოცხადებით და სხვა გზით, ხუთი დღით ადრე მაინც, კრების გახსნამდე.

შენიშვნა. ქალ. ტფილისში ის ამომრჩეველი, რომელიც შედიან ამა თუ იმ საწარმოსა და დაწესებულებაში ან შეკავშირებული არიან პროფესიონალურ ორგანიზაციებად, არჩევნებში მონაწილეობისაოთვის ღებულობენ თავიანთი საწარმოს და დაწესებულებისაგან ან პროფესიონალური კავშირისაგან გასნაკუთრებულ ბილეთებს.

52. ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საარჩევნო კრებები ეწყობა წარმოებითი ერთეულების (საწარმო, დაწესებულება) ან პროფესიონალური კავშირების მიხედვით.

მსვილ სამრეწველო საწარმოებში არჩევნები შეიძლება მოხდეს ცალკეულ საამქროებში, სათანადო საქალაქო საბჭოს ან სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით.

53. ის მოქალაქეები, რომელიც არ მუშაობენ საწარმოებში და დაწესებულებებში და შეკავშირებული არ არიან პროფესიონალურ ორგანიზაციებად, როგორც, მაგალითად, შინამრეწველები, დიასახლისები, მუშების ცოლები და სხვები, მონაწილეობას ღებულობენ არჩევნებში დანარჩენ ამომრჩევლებთან ერთად წარმოებითი და პროფესიონალური ერთეულების მიხედვით მოწყობილ საარჩევნო კრებებზე, ან მათვის ცალკე ეწყობა საარჩევნო კრებები ტერიტორიალური ერთეულების მიხედვით (რაიონი, უბანი და სხვ.).

54. საარჩევნო უბნები ქალაქებში ისეთი ანგარიშით უნდა იქნეს მოწყობილი, რომ თითოეული უბნიდან ასარჩევი იყოს არა უმეტეს ხეთი დეპუტატისა.

55. სასოფლო საბჭოს არჩევნები ეწყობა თითოეულ სოფელში ცალკე, თუ სოფელში 100 მცხოვრები მაინც არის. უფრო პატარა სოფელები უნდა შეუერთდეს ახლო მდებარე დიდ სოფელს, ან ისინი გაერთიანებულ უნდა იქნენ ერთ საარჩევნო უბნად.

მსხვილი სოფლები სასოფლო სტანდტოს არჩევნების: თვის უნდა დაიყოს სასოფლო დენძმე საარჩევნო უბნად. ამასთანავე, ნაციონალურ უმცირესობათა კომპატიური ჯგუფები შეიძლება გამოყოფილ იქნეს ცალკე უბნებად ნაციონალური ნიშნის მიხედვით.

56. ქალაქებსა და სოფლებს გარეთ მდებარე ფაბრიკა-ქარხნების, სამან-ქონ-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები და მოსა-მსახურები, აღგენენ დამოუკიდებელ საარჩევნო უბნებს ან უერთდებიან იმ ახლო მდებარე დასახლებულ პუნქტს, რომელიც ასარჩევი საბჭოს რაიონში შედის.

57. ყველა საარჩევნო კრებაზე უნდა მოხდეს ყველა იმ პირის აღნუსხვა, ვინც არჩევნებზე გამოცხადდა.

საარჩევნო კრებას შეიძლება დაესწროს მხოლოდ ის, ვისაც საარჩევნო უფ-ლება აქვს.

შენიშვნა. საარჩევნო უფლებას მოკლებული პირი, რომელიც სა-ბჭოთა არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ, პასუხისმგებაში უნდა იქნენ მი-ცემული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 92 მუხლის მი-ხედვით.

58. საარჩევნო კრება კანონიერია, უკეთუ მას დაესწრო ამომრჩევილთა საერთო რიცხვის 50 პროცენტი მაინც.

საარჩევნო კრება, რომელზეცაც ამომრჩეველთა 50 პროცენტზე ნაკლები გამოცხადდა, ვერ შესდგება, რის შესახებაც დაიწერება ოქმი. ეს ოქმი დაერთ-ვება საარჩევნო საქმეს, ხოლო საარჩევნო კრება გადაიტანება რომელიმე უახ-ლოესი დღისათვის, რაც ეცნობება ამომრჩეველებს.

შენიშვნა. საქართველოს სსრ-ის მთიან აღვილებში საარჩევნო კრება კანონიერად ითვლება, უკეთუ მას დაესწრო ამომრჩეველთა საერთო რიც-ხვის 40 პროცენტი მაინც.

59. საარჩევნო კრებას ხსნის საარჩევნო კომისიის რწმუნებული და უძლვე-ბა პრეზიდიუმი, საარჩევნო კომისიის რწმუნებულის თავჯდომარეობით. პრეზი-დიუმის შემადგენლობაში შედიან: საარჩევნო კომისიის რწმუნებული და კრების მიერ არჩეული ორი წევრი.

60. საარჩევნო კრების გახსნის შედეგ თავმჯდომარე ვალდებულია:

ა) გამოცხადოს კრების დამსწრეთ არჩევნების წესი და წაუკითხოს საქართვე-ლოს სსრ კონსტიტუციის 92 და 93 მუხლები (ან და ამ ინსტრუქციის 15 და 18 მუხლები) საარჩევნო უფლების მქონე და ასეთ უფლებას მოკლებული პირების შესახებ;

ბ) გამოაცხადოს ამ საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა რიცხვი და არჩევნებ-ზე მოსულ პირთა რიცხვი;

გ) გამოაცხადოს საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სია;

დ) გამოაცხადოს კანდიდატთა სიები და ცალკეული კანდიდატურები, რომ-ლებიც შემოვიდა, როგორც საარჩევნო კრებამდე, ისე თვით საარჩევნო კრებაზე, იმის აღნიშვნით, თუ ვის მიერ არიან დასახელებული კანდიდატთა სიები;

ე) გამოაცხადოს იმ პირთა რიცხვი, რომელიც ამ საარჩევნო კონფიდენციალურობის შეზღუდვის მიზანის დროის გადასწყვეტილი იქნება.

61. საარჩევნო კრების დღის წესრიგი უნდა დაამტკიცოს თვით საარჩევნო კრებამ.

62. ცნობის ყრა საარჩევნო კრებაზე ხდება ან სიებით ან ცალკეული კან-დიდატურებით, როგორც ამას კრება გადასწყვეტს.

სიებით ცნობის ყრის დროს შესძლოა ცალკე კან-დიდატის გამორიცხვა ამა თუ იმ სიიდან.

63. კან-დიდატთა სიები ან ცალკე კან-დიდატურები შეიძლება დასახელებულ იქნეს საზოგადოებრივი, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების ან ცალკე მოქალაქეების მიერ, როგორც საარჩევნო კრებაზე, ისე ამ კრებამდეც, კან-დიდატთა სიების პრესაში გამოქვეყნების ან თვალსაჩინო აღგილზე გაცოკვრის საშუალებით.

საარჩევნო კომისიას და მის რეზუნებულს არა იქვე უფლება წამოაყენონ თვეისი მხრით არც კან-დიდატთა სია და არც ცალკეული კან-დიდატურა.

64. თითოეული კან-დიდატის შესახებ შეიძლება მოხდეს წინასწარი მსჯელობა, თუ კრება ამას საჭიროდ დაინახავს.

65. არჩევნები წარმოებს ახდილი კენჭის ყრით. არჩეულად ითვლება ის პირი, ვინც კენჭის ყრის დროს მიიღებს იმ ამომრჩეველთა ხელის უმრავლესობას, რომელიც საარჩევნო კრებას დაესწრენ.

შენიშვნა. დეპუტატიად შეიძლება ისეთი პირიც იქნეს არჩეული, რომელიც ამ საარჩევნო კრებაზე არ არის.

66. საარჩევნო კრებები ქალ. ტფილისში, გარდა საქალაქო საბჭოს დეპუტატებისა, ირჩევენ დეპუტატებს სარაიონო საბჭოში. დეპუტატების ასარჩევად საქალაქო და სარაიონო საბჭოსათვის კენჭის ყრა ხდება ცალ-ცალკე.

67. თითოეულ საარჩევნო უბანში ასარჩევი პირების რაოდენობას განსაზღვრავს ადგილობრივი საარჩევნო კომისია ამ საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა რიცხვთან ან მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით, იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც აღნიშნულია ამ ინსტრუქციის 68, 69 და 70 მუხლებში.

68. საარჩევნო კრება არჩევს დეპუტატებს შემდეგი ნორმების მიხედვით:

ა) საქალაქო საბჭოების არჩევნებისას: ქალ. ტფილისში—ერთ დეპუტატს 350 ამომრჩეველზე, ქალ. ქუთაისში და ბათომში—ერთ დეპუტატს 150 ამომრჩეველზე, ქალ. სოხუმში—ერთ დეპუტატს 75 ამომრჩეველზე, ქალ. ფოთში, ხა-შურში (სტალინისი) და სამტრედიაში—ერთ დეპუტატს 60 ამომრჩეველზე, ქალ. ახალციხეში, გორში, ბორჯომში, ჭიათურაში და თელავში—ერთ დეპუტატს 50 ამომრჩეველზე, ხოლო დანარჩენ ქალაქებში—ერთ დეპუტატს 40 ამომრჩეველზე;

ბ) ქალ. ტფილისის სარაიონო საბჭოების არჩევნებისას—ერთ დეპუტატს 200 ამომრჩეველზე;

გ) სასოფლო საბჭოების არჩევნებისას, ამ მუხლის „დ“ პუნქტში აღნიშნული შემთხვევების გამოკლებით, —ერთ დეპუტატს 100 მცხოვრებზე, მაგრამ არა ნაკლებ ხუთი დეპუტატისა სასოფლო საბჭოს ყველა საარჩევნო უბნიდან;

(დ) აქარისტანის ასსრ-ის სასოფლო საბჭოების არჩევნებისას —ერთ დეპუტატს 50 მცხოვრებზე.

69. თუ საარჩევნო უბანში აღმოჩნდება საარჩევნო ნორმებს ზევით ამომრჩეველთა ან მცხოვრებთა განსაზღვრული რიცხვი, რომელიც თუმცა წინამუხლში აღნიშნულ საარჩევნო ნორმას ვერაღწევს, მაგრამ ამ ნორმის ნახევარზე ნაკლები არ არის, საბჭოში არჩეული უნდა იქნეს დამატებითი დეპუტატი.

70. ის საწარმო, სადაც ამომრჩეველთა რიცხვი თუმცა სრულ საარჩევნო ნორმას არ შეადგენს, მაგრამ ამ ნორმის 50 პროცენტს აღწევს, ირჩევს საბჭოში ერთ დეპუტატს.

71. თითოეული საარჩევნო კრება, დეპუტატების გარდა, ირჩევს მათ კანდიდატებს დეპუტატთა რიცხვის ერთი მესამედის რაოდენობით.

საბჭოს წევრთა კანდიდატები ირჩევიან დეპუტატების შემდეგ, ცალკე კენჭის ყრით.

72. სასოფლო საბჭოს წევრებისა და მათი კანდიდატების არჩევის შემდეგ საარჩევნო კრება ცალკე კენჭის ყრით ირჩევს სასოფლო სარევიზიო კომისიას ხუთი წევრისა და ორი კანდიდატის შემაღებულობით.

73. იმ სასოფლო საბჭოებში, სადაც საარჩევნო უბნების რიცხვი ხუთხე მეტია, სასოფლო სარევიზიო კომისიების წევრთა და კანდიდატთა არჩევნების წესს ამყარებს სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი.

შენიშვნა. სარევიზიო კომისიის შემაღებულობაში არ შეიძლება არჩეულ იქნენ: ა) იმ სასოფლო საბჭოს წევრები და კანდიდატები, რომელთანაც ასარჩევი სარევიზიო კომისია არსებობს, ბ) წინა პუნქტში აღნიშნული პირების მშობლები, კოლეგი, ქმრები, ძმები, დები და შვილები; გ) საქვეყნოტროლო სასოფლო საბჭოს მომუშავეები და მის გამგებლობაში მყოფი დაწესებულებებისა და საწარმოების ხელმძღვანელები; დ) იმავე სასოფლო საბჭოს ყოფილი წევრები და კანდიდატები და იგრეთვე ამ სასოფლო საბჭოს ყოფილი მომუშავეები — ერთი წლის განმავლობაში მათ მიერ აღნიშნული თანამდებობების დატოვების შემდეგ.

74. საარჩევნო კრების მსვლელობისა და შედეგების შესახებ შედგენილ უნდა იქნეს, თანახმად შემოღებული ფორმისა, ოქტი, რომელსაც ხელს აწერს საარჩევნო კრების პრეზიდიუმი.

75. ყოველი არჩეული დეპუტატის შესახებ საარჩევნო კომისიამ უნდა შეადგინოს ანკეტა, თანახმად დამტკიცებული ფორმისა.

თავი VII.

No. 32
სოციალური
განვითარების

არჩევნების გაუქმების წესი, ხელახალი არჩევნები და დამატებითი არჩევნები.

76. არჩევნები გაუქმებულ იქნება, თუ მათი წარმოების დროს დარღვეულ იქნა სსრ კავშირის, ა/კ სფსრ-ის ან საქართველოს სსრ-ის კონსტიტუცია, შსრ კავშირის ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტის საარჩევნო ინსტრუქცია ან ამა ინსტრუქციით დადგენილი წესები.

77. ზემოაღნაშნული საფუძვლით არჩევნები შეიძლება გაუქმებულ იქნეს:

- ა) მთლიანად, ე. ი. საბჭოს წევრთა მთელი შემადგენლობის მიმართ;
- ბ) ნაწილობრივ, ე. ი. საბჭოს ცალკეულ წევრთა მიმართ ცალკეულ საარჩევნო უბნებში.

78. არჩევნები გაუქმებულ იქნება მთლიანად, თუ დეპუტატთა ნახევარზე შეტი არჩეულია უკანონოდ (მ. 76). თუ უკანონო არჩევნებს ადგილი ჰქონდა ერთსა ან რამდენსამე საარჩევნო უბანში, სადაც არჩეულია დეპუტატების საერთო რიცხვის უმცირესი ნაწილი, არჩევნები გაუქმებულ იქნება ნაწილობრივ—ცალკეულ საარჩევნო უბანში.

79. არჩევნები შეიძლება გაუქმებულ იქნეს, როგორც საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკის, ოლქის ან რაიონის მთელ ტერი-ტორიაში, ისე ამ ტერიტორიის ცალკეულ ნაწილში.

არჩევნების გაუქმება გამოცხადებულ უნდა იქნეს საყოველთაო ცნობისა-თვის ან ადგილობრივ პრესაში, ან ამომრჩეველთა კრებაზე.

80. არჩევნების მთლიანად გაუქმება ხდება ზემდგომი აღმასრულებელი ქონიტეტის დადგენილებით, ხოლო არჩევნების ნაწილობრივ გაუქმება ხდება სა-თანადო სასოფლო ან საქალაქო საბჭოს დადგენილებით.

არჩევნების მთლიანად გაუქმება ქალ ტურისის სარაიონო საბჭოების მიმართ ხდება ტყილისის საქალაქო საბჭოს დადგენილებით.

81. კველა განცხადება და საჩივარი არჩევნების წარმოების შესახებ შე-ტანილ უნდა იქნეს წერილობით ან სიტუაციად შვიდი დღის განმავლობაში არ-ჩევნების შემდეგ იმ საარჩევნო კომისიაში, რომელიც არჩევნებს ხელმძღვა-ნელობდა.

82. საარჩევნო კომისია წარუდგენს შემოსულ განცხადებასა და საჩივარს თავისი ახსნა-განმარტებით ზემდგომ საარჩევნო კომისიას სამი დღის ვადაზე.

ზემდგომი საარჩევნო კომისია ვალდებულია განიხილოს აღნიშნული გან-ცხადება და საჩივარი შვიდი დღის განმავლობაში მიღების შემდეგ.

თუ საჭიროა არჩევნების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმება, საარჩევნო კომისია დაუყოვნებლივ აღძრავს საკითხს ამის შესახებ სათანადო აღმასრულე-ბელი კომიტეტის ან საბჭოს წინაშე (მ. 80).

83. თუ არჩევნები გაუქმებულ იქნა, ახალი არჩევნები მოხდება ამა ინსტრუქციით გათვალისწინებული წესით; ამასთანავე, თუ არჩევნები მთლიანად

იქნა გაუქმებული, ახალი არჩევნების მოსახლეობად ეწყობა შესაფერი საარჩევნო კომისია ახალი შემადგენლობით, ხოლო თუ არჩევნები ნაწილობრივ იქნება უქმებული, უნდა დანიშნულ იქნენ სათანადო საარჩევნო კომისიის ახალი რწმუნებულები.

84. მუშაობის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისიებმა უნდა გადასცენ მთელი საარჩევნო მასალა სათანადო საბჭოს ან აღმასრულებელ კომიტეტს.

85. თუ დეპუტატები ამომრჩევლების მიერ უკან გაწვეულ იქნებიან, საბჭო მათ ნაცვლად ჩარიცხავს საბჭოს წევრად კანდიდატებს იმავე საარჩევნო უბნებიდან, საიდანაც დეპუტატები იყვნენ არჩეული, ხოლო თუ კანდიდატები არ არიან, დანიშნავს საბჭოს წევრების დამატებით არჩევნებს. დამატებითი არჩევნები დამტკიცებულ უნდა იქნეს სათანადო სასოფლო, საქალაქო ან სარაიონო საბჭოს მეც.

86. წინა მუხლში აღნიშნული წესი შესრულებულ იქნება იმ შემთხვევაზე, თუ საბჭოს ესა თუ ის წევრი გარდაცვალი ან საბჭოს შემადგენლობიდან გაძოვიდა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისა, საარჩევნო უფლების დაკარგვისა და სხვა მიზეზების გამო.

87. თუ 85—86 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამატებით ასარჩევია საბჭოს მთელი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, უნდა მოხდეს ხელ-ახალი არჩევნები მთლად საბჭოს შემადგენლობისა არსებული წესით. ხელ-ახალი არჩევნები დამტკიცებულ უნდა იქნეს ზემდგომი საბჭოს ან აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

88. თუ საბჭოს პრეზიდიუმის ან აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობიდან გამოციდა მისი წევრების ნახევარზე მეტი, უნდა მოხდეს არჩევნები საბჭოს პრეზიდიუმის და აღმასრულებელი კომიტეტის მთელი შემადგენლობისა.

თ ა ვ ი VIII.

საპონების და საბჭოთა ყრილობების მოწვევა.

89. ახორცი არჩეული საბჭოს პირები სხდომას იწვევს სათანადო საარჩევნო კომისია. ამ სხდომაზე ირჩევიან საბჭოს აღმასრულებელი ორგანოები. საბჭოთა ყრილობებს იწვევენ სათანადო აღმასრულებელი კომიტეტები.

90. იმ ადგილების სასოფლო საბჭოები, რომელიც ქალაქებთან არიან შემორჩებული, იმჩენენ თავიანთ პლენურებზე წარმომადგენლობს (დეპუტატებს) სათანადო საქალაქო საბჭოში იმ ანგარიშით, რომ ერთი წარმომადგენელი მოდიოდეს სასოფლო საბჭოს თათვეულ 20 წევრზე.

იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო საბჭოს წევრთა რაცხეი 20-ზე ნაკლებია, სასოფლო საბჭო იმჩენ ერთ წარმომადგენელს.

91. სარაიონო საბჭოთა ყრილობა შესდგება:

ა) რაიონში შემავალი სასოფლო საბჭოების წარმომადგენლებისაგან გარიშით, რომ ერთი დელეგატი მოდიოდეს ყოველ 200 მცხოვრებზე;

ბ) რაიონის შემადგენლობაში შემავალი საქალაქო საბჭოების წარმომადგენლებისაგან, იმ ანგარიშით, რომ 60 ამომრჩეველზე მოდიოდეს ერთი დელეგატი;

გ) სოფლებში ან სასოფლო საბჭოების მქონე ქალაქებში მდებარე ფაბრიკა-ქარხნებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების წარმომადგენლებისაგან და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლებისაგან, იმ ანგარიშით, რომ 60 ამომრჩეველზე მოდიოდეს ერთი დელეგატი.

დელეგატები საბჭოთა სარაიონო ყრილობისათვის ირჩევიან: საქალაქო და სასოფლო საბჭოებისაგან—ამ საბჭოების პლენურებზე, ხოლო იმ ფაბრიკა-ქარხნებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან, რომლებიც ამ მუხლის 1 ნაწილის „გ“ პუნქტში არიან ონიშნული,—საარჩევნო კრებაზე.

92. სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა შესდგება აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარისტანის ასსრ-ის, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის და სარაიონო საბჭოთა ყრილობების წარმომადგენელთაგან—იმ ანგარიშით, რომ ერთი დელეგატი მოდიოდეს ყოველ 10.000 მცხოვრებზე იმ ადგილების საბჭოთაგან, სადაც საბჭოებს ირჩევენ მცხოვრებთა რაოდენობის მნევზოით, და ერთი დელეგატი ყოველ 2.000 ამომრჩეველზე იმ ადგილების საბჭოთაგან, სადაც საბჭოებს ირჩევენ ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით, აგრეთვე ტფილისის, ქუთაისის და ფოთის საქალაქო საბჭოების წარმომადგენელთაგან—იმ ანგარიშით, რომ ერთი დელეგატი მოდიოდეს ქალაქის მოსახლეობის ყოველ 2.000 ამომრჩეველზე და ერთი დელეგატი ამ ქალაქებთან შემოერთებული სოფლების ყოველ 10.000 მცხოვრებზე.

93. აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარისტანის ასსრ-ის, სამხრეთ-ოსეთის ავტოლქის და სარაიონო საბჭოთა ყრილობები და ტფილისის, ქუთაისის და ფოთის საქალაქო საბჭოები, სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისათვის დელეგატების არჩევასთან ერთად, ირჩევენ დელეგატებს ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობისათვის: აფხაზეთის ასსრ-ის, აჭარისტანის ასსრ-ის, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქისა და სარაიონო საბჭოთა ყრილობები—იმ ანგარიშით, რომ ერთი დელეგატი მოდიოდეს 15.000 მცხოვრებზე იმ ადგილების საბჭოთაგან, სადაც საბჭოებს ირჩევენ მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, და ერთი დელეგატი ყოველ 3.070 ამომრჩეველზე იმ ადგილების საბჭოთაგან, სადაც საბჭოებს ირჩევენ ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით, ხოლო ქალ ტფილისის, ქუთაისის და ფოთის საქალაქო საბჭოები—იმ ანგარიშით, რომ ერთი დელეგატი მოდიოდეს ქალაქის მოსახლეობის ყოველ 3.000 ამომრჩეველზე და ერთი დელეგატი ამ ქალაქებთან შემოერთებული სოფლების ყოველ 15.000 მცხოვრებზე.

94. საბჭოს და საბჭოთა ყრილობის არჩევის კანონიერებისა და ლეპტრების რწმუნებულების სისწორის შესამოწმებლად თითოეული საბჭო და საბჭოთა ყრილობა ირჩევს სამანდატო კომისიას.

შემოწმების შედეგებს სამანდატო კომისია მოახსენებს საბჭოს და საბჭოთა ყრილობას, რომელიც გამოიტანს დაღვენილებას არჩევნების სისწორისა და დეპუტატების უფლებამოსილობის შესახებ.

შენიშვნა. წინანდელი შემაღლენლობის საბჭოს პრეზიდუმისა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრს, რომელიც საბჭოს ან საბჭოთა ყრილობის წევრი არ იქნება, აქვს სათათბირო ხმის უფლება.

95. საბჭოს და საბჭოთა ყრილობას შეუძლია იირჩიოს პრეზიდიუმისა და აღმასრულებელი კომიტეტის შემაღლენლობაში, აგრეთვე თავის წარმომადგენლად შემდგომი ყრილობისათვის არა მარტო ამ საბჭოს და ყრილობის წევრი, არამედ ყოველი მოქალაქე, რომელსაც საარჩევნო უფლება აქვს, მიუხედავად მისი საცხოვრებელი ან სამუშაო დფილისა.

96. საბჭოთა ყრილობის მუშაობის დაწყების შემდეგ ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოდ ჩეხება წინანდელი შემაღლენლობის სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის ფუნქციებიც სწოდება მხოლოდ ახალი შემაღლენლობის აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სხდომის მოწვევის შემდეგ.

97. ახალი საბჭოს პრეზიდიუმისა და აღმასრულებელი კომიტეტის არჩევის შემდეგ მოწვევულ უნდა იქნეს აღნიშნული ორგანოების საორგანიზაციო სხდომა წინანდელ შემაღლენლობასთან ერთად.

შენიშვნა. წინანდელი შემაღლენლობის საბჭოს პრეზიდიუმისა და აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს, რომელიც არჩეული არ იქნებიან ახალ შემაღლენლობაში, აგრეთვე მის განყოფილებათა გამგებს ამ სხდომაზე აქვთ სათათბირო ხმის უფლება.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. ზახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდიგარი თ. ულენტი.

1934 წ. ოქტომბრის 5.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაჲ. „კომიტისტის“ 249 №-ზი 1934 წ. ოქტომბრის 27.

ფასი 40 კაპ.

გამოქვეყნებული	ხაქ. ხხრ. ს. კ. ხ-ოს საქმ. მთართველობა	1934 წ. № 63 პ/ზ. რედაქტორი მ. გაგაცელი
ქადალდის ფორმატი 62X94 სანტ.; 15/9 ბეჭდვა. ფურც.; 1 ბეჭდვა. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.		
პადაგეცა სტამბას 5/XI,	ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/XII.	ტირაჟი 1.700.
მთავრ. რწმ. ს.—№ 8706.	საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა.	შეკვ. № 1703.